ა) ზურაბ გაიპარაშვილი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) თამარ გიორგაძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;
გ) თეიმურაზ ყანჩელი - ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
დ) თეა წითლანაძე -სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე -კომისიის წევრი;
ე) შორენა ერისთავი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილებაში (შტატგარეშე პოზიცია) უფროსი სპეციალისტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილებაში (შტატგარეშე პოზიცია) უფროსი სპეციალისტის კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1.კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილებაში (შტატგარეშე პოზიცია) უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.

2.აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3.საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).

4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.